საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4984
02/09/2022

4984-21-2-202209021531

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რ-ნი, პეტრიაშვილის ქ. №10
ელ. ფოსტა: lela.bachiashvili@crtg.cn

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2444 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წკერეს მიმდებარედ, კობი-ქვეშეთის გზის პირველი ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წკერეს სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი და დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X-461661.287 Y-4702886.958; X-461668.739 Y-4702886.118) დაგეგმილია 40 $მ^3$ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა. 2022 წლის 12 ივლისს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა აღნიშნულ ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის ინსპექტირება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ტერიტორიაზე მოწყობილია 20 ტ მოცულობის დიზელის საწვავის რეზერვუარი (GPS კოორდინატები: X-461599, Y-470281). ამასთან, ობიექტზე იგეგმება აღნიშნული რეზერვუარის გადატანა შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-461654, Y-4702761; X-461624, Y-4702818. ვინაიდან, სკრინინგის განცხადებაში მოცემული და ინსპექტირების ოქმში წარმოდგენილი კოორდინატები არ ემთხვევა ერთმანეთს, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების კოორდინატები. ასევე, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები) გათვალისწინებით;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ობიექტზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალაღებისა და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო